

27  
მარტის  
გარემოსდაცვითი

შაბათი,

1961 წ.

№ 67 (1708)

გამოცემის № 17 წელი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა  
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

П Е Л О

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР  
и Грузинского республиканского совета профсоюзов



„ცხენაშტორმი“  
ფოტო ფ. კრიშკისა.

ეს სურათი ექსპონირებული იყო მხატვრული ფოტოგრაფიის საკან-  
შირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე.

## დავიღოვდნენ სამკერდე ნიშნებით

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა:

ა. ე. აბაშიძე — სამტრედიის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ბ. ვ. ავთანდილოვი — გუდაუთის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ო. დ. ანანიაშვილი — „განთიადის“ ფრენბურთის სექციის თავმჯდომარე, გ. ზ. ანიაშვილი — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი, ე. მ. ალიშაივა — ქუთაისის ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელი, ა. გ. არბოლიშვილი — სამხრეთ ოსეთის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ა. ნ. არხანგელსკი — სპორტის ზამთრის სახეობების მთავარი მწვრთნელი, ვ. მ. აფრიდონიძე — ქუთაისის „განთიადის“ საბჭოს თავმჯდომარე, თ. ი. ბეგაშვილი — სიღნაღის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ი. ი. ბოჭორიძე — „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, ე. ა. ბოშველი — სოხუმის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, თ. გ. ბაღრაშვილი — კომკავშირის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გ. ი. ბერულავა — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ვ. ა. ბურდული — პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი, ა. მ. ბაქრაძე — საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი კრივში, ვ. ე. ლორბოლასა — და სოლოში, ე. შ. პასანოვა — თბილისის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინსტრუქტორი, ა. ა. გვოზდევია — აფხაზეთის სპორტკავშირის ინსტრუქტორი, გ. მ. გონაძე (საბჭოთა არმია), ა. გ. გობრონიძე — პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანი, გ. ნ. გოშაძე — პარტიის

თბილისის სტალინის რაიკომის მდივანი, ვ. ი. გახაფიძე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ვ. დოკუაძე — ფიზკულტურის კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი, ვ. ი. ჯაფარიძე — საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი სპორტულ თამაშებში, ვ. ე. დიდიძე — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მ. ნ. ჯუღელი — თბილისის ბავშვთა სპორტული სკოლის საზოგადოებრივი მწვრთნელი, ვ. ე. ქლენტი — „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, შ. ი. კილუაძე — ქედის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ნ. ნ. კეცხველი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე, ე. რ. კაკაბაძე — პედაგოგიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი, კ. კ. ყიფიანი — რკინიგზის № 1 სასწავლებლის ფიზიკოსის ინსტრუქტორი, ს. ა. კახაკოვი — გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ვ. ი. კრილოვა — სოხუმის ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელი, გ. პ. კირვალიძე — „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ნ. მ. კაღიძე — ბათუმის თევზის სამეცნიერო კვლევითი სადგურის საბოთელო ჯგუფის უფროსი, გ. ვ. კარვალაძე — „დინამო“, ვ. ს. კვარაცხელია — პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ლ. მ. ციციშვილი — სასტენდო სროლის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, ვ. მ. კუხიანიძე — საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში და ჭიდაობაში, დ. ნ. ლობანოვი — ტყე-ჩხელის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, შ. ი. ლევია — ბათუმის რაიონის სოფელ აჭარისწყალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ვ. ი. ლაზარევა — თბილისის პიონერთა სასახლის

მწვრთნელი, ე. ვ. ლოლუა — საქართველოს სპორტკავშირის მთავარი ბუხალტერი, გ. ი. მაძალაძე — ჩოხატაურის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე, დ. დ. მაღალაშვილი — პარტიის კასპის რაიკომის მდივანი, ნ. ნ. მუსასტიკოვი — საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი სპორტის საწყობის სახეობებში, თ. ფ. მანაგაძე — საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, შ. გ. მურგვანიძე — სოხუმის სპორტკავშირის თავმჯდომარე, კ. კ. მინაევა — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი, ე. რ. მერეკილი — „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი, ა. ფ. მინჯია — „შრომითი რეზერვების“ ოჩამჩირის სტადიონის დირექტორი, ვ. ვ. ნანეიშვილი — დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ვ. თავართქილაძე — ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ე. ნ. ნიჭიაძე — ქუთაისის ორგანიზაციის სახელობის ავტომშენებელი ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი, ა. ა. ორახელაშვილი — საქართველოს განათლების სამინისტროს ინსტრუქტორი, ლ. ა. ფხაკაძე — თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის მთავარი ენქერეტიკოსი, ლ. ს. ფანჯაძე — ბაქრაინის სამთო-სახელოსნო ბაზის დირექტორი, ლ. ნ. პროკოფიევი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკოსის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ა. გ. ფალავანდიშვილი — ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი, რ. ვ. პოპოვა — კომკავშირის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ზ. პ. რუხაძე — „ბურვესტნიკის“ სასწავლო განყოფილების უფროსი, პ. ა. სიმულიძე — ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ბ. დ. სტატიკა — გუდაუთის რაიონის სპორტკავშირის ინსტრუქტორი, ზ. თ. სიჭინავა — აფ-

ხაზეთის „კოლმეურნის“ თავმჯდომარე, გ. კ. სვანაძე — ქუთაისის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, ი. ო. სარაჯიშვილი — საქართველოს პრეზიდიუმის ფედერაციის თავმჯდომარე, ვ. მ. სირაძე — პარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომის მდივანი, ზ. ა. თეალია — თბილისის სპორტული დისპანსერის მთავარი ექიმი, რ. თ. ტრაპაძე — მძლეონობის მთავარი მწვრთნელი, ს. დ. ტაბაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, მ. გ. თურქია — აფხაზეთის „დინამოს“ საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, შ. დ. ტატიშვილი — ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, პ. პ. თედევი — სტალინის პედინსტიტუტის ფიზიკოსის კათედრის გამგე, ხ. ი. თედევი — სტალინის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ა. რ. ტყეშელაშვილი — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, დ. კ. თალაკვაძე — წყალტუბოს სპორტკავშირის თავმჯდომარე, ვ. ვ. ჩიხლაძე — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, შ. ი. ჩიქობავა — ცხაპაის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ა. კ. ჩოგვაძე — ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ს. კ. ჩხარტიშვილი — პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, ნ. გ. ჯალალაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, გ. ნ. ჭილაია — საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშისა და ფარეობაში, გ. მ. შიოშვილი — პენსიონერი, ს. ვ. ესავია — „დინამოს“ აფხაზეთის საბჭოს მწვრთნელი, ი. პ. ხეთაგური — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, ს. კ. ხუროძე — დუშეთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ი. ნ. ელერდშვილი — თბილისის 188-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

### ი. გაგარინი ბულგარეთში

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფება პარტიული კომისიონერი, სსრ კავშირის გმირი ი. გაგარინი, რომელსაც ყველაგან სიზარულთა და დიდი აღტაცებით ხვდებიან. ი. გაგარინი მიიღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ ი. გაგარინს მიანიჭა ბულგარეთის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. მიღებული იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ი. გაგარინის სახელი შეტანილ იქნას ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის ცენტრალური საბჭოს სამართლი წევრად.

### საერთაშორისო გურნიკები

29 მაისს ჩვენი ქვეყნის სამ ქალაქში ერთდროულად დაიწყო 3 საერთაშორისო საქალაქო ტურნირი. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ გრანმასტერები ბრონშტენი, სპილთვი, ტოლუმი (სსრ კავშირი), ბისპაიერი (აშშ), ოლანდონი (სლანდია) და პანზანი (ჩეხოსლოვაკია).

როსტოვში, სადაც გაიმართება მ. ი. ჩიგორინის სახელობის ტურნირი, ითამაშებენ გრანმასტერები დილიბი (ჩეხოსლოვაკია), ოსტატები ბობეკოვი (ბულგარეთი), ლაბერტი (გერმ.), ტარნოვსკი (პოლონეთი). ჩირიჩი (იუგოსლავია), აგრეთვე საბჭოთა გრანმასტერები ბონდარეცკი, ტიმიანოვი, პოლუგაევსკი, ოსტატები ნევემუდინოვი, ტრასოვი და სხვ.

ვლგოში გაიმართება ქაბუთა საერთაშორისო ტურნირი, აქ ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის, გერმ., იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

### 3 მსოფლიო რეკორდი

გასულ წელს ბასკუნიაკის ტობის მდინარეში გაიმართა ავტომობილისტთა შეჯიბრება, სადაც საბჭოთა სპორტსმენმა ე. ლორენცმა საერთაშორისო ავტომობილ „ხარკოვი ლ-350“ და „ხარკოვი ლ-250“-ით დაამყარა სისწრაფის სამი მსოფლიო რეკორდი 1 და 5 კილომეტრზე რბოლაში.

ავტომობილით „ხარკოვი ლ-250“, ლორენცმა 5-კილომეტრიანი ტრაასა გავლო 1.33,06 წუთში და განაგრძო საშუალოდ 193,4 კილომეტრის სისწრაფე საათში.

„ხარკოვი ლ-350“-ით 1-კილომეტრიანი დისტანცია სპორტსმენმა გავლო 15,56 წამში, ე. ი. საათში 23,6 კილომეტრის სისწრაფით, ხოლო 5-კილომეტრიანი დისტანციაზე აჩვენა 220 კილომეტრის სისწრაფე საათში და მონაკვეთი განაგრძო 1 წუთსა და 22 წამით.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ავტომობილისტებმა დაიწყო ავტომობილისტთა საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ცნობა ე. ლორენტის სამივე რეკორდის მსოფლიო რეკორდებად დატყობის შესახებ.



ბოლშევიკი კარგა მოზრ-  
დილი სოფელია ახმე-  
ტის რაიონში. ამ ოც-  
იოდ წლის წინათ აქ ქართული  
ქიდაობის მოყვარულებს — კო-  
ლმეტურანობის მავნიდელი თავმჯ-  
დომარის ვ. უთაშვილის თაოსნო-  
ბით ცირკი აუშენებიათ. აქ იმარ-  
თებოდა ხოლმე შეჯიბ-  
რებები ქართულ ქიდაო-  
ბაში. იზრდებოდნენ სა-

# სოფელია — ჩვენი ყურადღება!

## ბაზას მიხედვით, სოფელანობა!

ლობას, როცა მოჭიდავე-  
ები დასჭირდებოდათ სო-  
ფე, დაურეგავინ ნო-

ქართველთა ფალანგები და პრი-  
ზიორები, ჩამოდიოდნენ რესპუბ-  
ლიკის სხვა რაიონებიდან ცნობი-  
ლი ქართველი მოჭიდავეები ხო-  
დაშნელ მოჭიდავეებს არაერთხელ  
უსახებლობათ ჩვენი რესპუბლიკა.  
ბევრი მათგანი შემდგომში მოზარ-  
დი თაობის აღზრდას შეუდგა და  
მრავალი კარგი მოჭიდავეც აღზა-  
რდა. ერთ-ერთი მათგანი გიგა გი-  
გაური, რომელმაც არაერთი მო-  
ჭიდავის ნიჭს მისცა სწორი მიმარ-  
თლება და განვითარება. აი, ზო-  
გიერთი მათგანი: ძმები ბ. და ვ.  
ჩიქვილაძეები, ბ. მაისურაძე, გ.  
ხუგაშვილი, გ. იოსებშვილი, ს.  
მაისურაძე — საქართველოს თერთ-  
მეტეზის ჩემპიონი ქართულ ქიდა-  
ობაში და სხვა. თვით გიგაც თა-  
ვის ახალგაზრდობაში ქართული  
ქიდაობის ცნობილი ფალანგი იყო.

ახლა გ. გიგაური სოფელ აწყუ-  
რის საშუალო სკოლაში ფიზიკური  
აღზრდის მასწავლებლად მუშაობს  
და ახალგაზრდობას ამეცადინებს.  
იგი სოფ. ხოდაშნის მკვიდრია და  
გული ეკუთვნება, რომ ხოდაშ-  
ნეში ფიზიკულტურული მუშაობა  
ისე არაა გაშლილი, როგორც ად-  
რე იყო. ჩვენ გიგასთან ერთად ვე-  
სტუმრეთ ხოდაშნის ცირკის შე-  
ნობას, დაეთვალეთ იგი, მისი  
მიდამოები და ხოდაშნის ფიზიკულ-

ტურული კოლექტივის ინსტრუქ-  
ტორს მკვლევარს გავეცანით.  
რას წარმოადგენს ახლა ხოდაშნის  
ცირკი, ერთ დროს მჭიდვარ სპო-  
რტული ცხოვრებით აღსავსე ბაზა?  
იგი ისე უპატრონოდ მიუტოვებიათ,  
რომ საცაა წამოიქცევა და, კაცმა  
რომ თქვას, უკვე კაპიტალური შე-  
კეთება პირდება. უფრო მეტიც,  
მოჭიდავეებისათვის განკუთვნილ  
გასახდელ ოთახში სადალაქო გა-  
უხსნიათ, მეორე ოთახში კი კიო-  
მეჭიდავის „სამფლობელო“ (!),  
ცირკის შენობა ძირითადად გამო-  
ყენებულია კინოსურათების ჩვე-  
ნებისათვის. შეიძლება ეს არცაა  
ცუდი, მაგრამ ხოდაშნეში „ბორო-  
ტი ხმები“ დადის, რომ კინოსეან-

სებს ოციოდე კაცი თუ ესწრებათ.  
ფიზინსტრუქტორ მკვლევარის  
მთელი მუშაობა ამოიწურება ახა-  
ლგაზრდა მოჭიდავეების ორ წრე-  
სთან მეცადინეობით. ძნელია ილა-  
პარაკო ამ სექციების მუშაობის  
ავ-კარგიანობის შესახებ, ვინაიდან  
მეცადინეობას არ დავსწრებივართ,  
მაგრამ იმ დღეს, როცა ხოდაშნე  
ვესტუმრეთ, ნორჩმა მოჭიდავეებ-  
მა გვითხრეს, რომ მათ სექციაში  
7-8 ბიჭუნა თუ დაიარება.

1958 წელს ხოდაშნის ცირკში  
საქართველოს მრავალგზის ფალან-  
გის სიმონ მაისურაძის ინიციატი-  
ვით რესპუბლიკის ზონალური პი-  
რველობა ჩატარებულა, რომელ-  
საც დიდძალი ხალხი დასწრებია



და ხოდაშნელების დიდი კმაყო-  
ფილებაც გამოუწვევია. ამის შემ-  
დეგ საქმე თითქმის წინ უნდა წა-  
სულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა.  
სოფლის თავადაც უგულისყუ-  
რობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ  
ქართული ქიდაობის ამ შესანიშნავ  
ბაზაზე მას შემდეგ არც ერთი  
მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ჩა-  
ტარებულა და საერთოდ, სპორტუ-  
ლი მუშაობის საქმეც თვითდინებას  
მიეცა. მკვლევარი სულ რა-  
ღაც ორი თვეა რაც დანიშნეს, მა-  
გრამ იგი ამ ცირკის კომენდანტის  
როლს უფრო ასრულებს, ვიდრე  
ახალგაზრდობის ფიზიკური წრთო-  
ბის მამრგანებლისა. „კოლ-  
მეტურის“ რაიონულ ხელმძღვანე-

დაშნელებს: აბა, არიქით, მოგ-  
ვეშველთ, შეჯიბრებაზე მოჭიდა-  
ვეები გამოგვიგზავნეთო. აქაც და-  
ფატურდებიან, გამოსძებნიან ქი-  
დაობის მოყვარულებს და ისე  
სრულიად უგაჩივრებლად გაგზავ-  
ნიან ხოლმე შეჯიბრებაზე. აი, ამი-  
ტომა, რომ უკვე რამდენიმე წე-  
ლია, რაც ხოდაშნე ქართული ქი-  
დაობის კარგ ოსტატებს აღარ ია-  
ლევია.

ასეთი გულგრილი დამოკიდებუ-  
ლება საკიდარ დაზარალებული  
უფრო საწყენია, რომ ამ სოფელ-  
ში 300-მდე ახალგაზრდა კოლმე-  
ურნეა და ქიდაობის სექციაში ოც-  
იოდე მოზარდის მეტი არავინ და-  
დის. დაზარალებული არაა, პატარა სა-  
ქიდაო ოთახიც არაა პიკნოდათ ხო-  
დაშნელ მოჭიდავეებს, როცა ისინი  
წარმატებით გამოდიოდნენ რეს-  
პუბლიკურ შეჯიბრებაზე. ახლა რა  
გული უძლებთ აქაურებს, რომ  
ფალანგთან საქმედლო თითქმის  
გაუქმებით!

ჯ. ანუშიძე,  
ბ. სამსონაძე,  
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

სურათებზე: ქიდაობის ვეტერა-  
ნი გ. გიგაური ესაუბრება თვის ად-  
საზრდელებს, მარჯვნივ — ხოდაშ-  
ნის ცირკი.



### კომპლექსი № 2 ჩამოიღი ტანვარჯიში დღის პირველ ნახევარში

I. მოწყობა ერთრიგად, სიარუ-  
ლი ადგილზე, ძახილზე: მარცხენის  
უოველ ნაბიჯზე ტაში ტანს წინ, მა-  
რჯვენის ნაბიჯზე გამკლავი — 30  
წამი. სუნთქვა თანაბარი.

II. სიარულის განგრძობით და  
თანდათან აჩქარებით რბენა ადგი-  
ლზე მუხლების მალა აწევით —  
15-20 წამი, სიარული შენელებით  
სრულ შეჩერებამდე — 20-25 წა-  
მი. სუნთქვა თანაბარი, ღრმა.

III. საწყისი მდგომარეობა (ს.მ)  
ფეხშლით დგომი მხრების სიგანე-  
ზე. თვლა 1. ღუნგამკლავი მხრებ-  
თან თითების მოშუპვა 2. გარეშე-  
მკლავი განწევა — ღრმა ჩასუნ-  
თქვა. 3-4 თითების გამართვა, სა-  
წყისი მდგომარეობაში დაბრუნება —  
ღრმა ამოსუნთქვა. გამეორება  
6-8-ჯერ ნელ ტემპში.

IV. ს. მ. ფეხშლით დგომი მხრე-  
ბის სიგანეზე, ტერფები პარალელ-  
ურად. თვლა 1. ბუკნი, წინმკლა-  
ვი. 2-3. დამატებითი დრეკადი ბუ-  
კნი ერთდროულად. თითების მოშუ-  
პვა — გაშლა, ამოსუნთქვა. 4. სა-  
წყისი მდგომარეობაში დაბრუნება —

ჩასუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ სა-  
შუალო ტემპში.

V. ს. მ. დონიჭი. თვლა 1. ზეტა-  
ნის ბრუნება მარცხნივ, ღუნგამ-  
კლავი, მხრებთან თითების მოშუ-  
პვა. 2. ზემკლავი, თითების გაშლა.  
3. ღუნგამკლავი მხრებთან, თითების  
მოშუპვა. 4. საწყისი მდგომარეობა-  
ში დაბრუნება. გამეორება 4-6-ჯერ  
თითოეულ მხარეს, საშუალო ტე-  
მპში. 1-2 თვლაზე ჩასუნთქვა, 3-4  
თვლაზე ამოსუნთქვა.

VI. სიარული ადგილზე თანდათან  
აჩქარებით. რბენა მუხლების მალ-  
ლა აწევით — 10-15 წამი, სიარუ-  
ლი შენელებით სრულ შეჩერებამ-  
დე 20-25 წამი. სუნთქვა თანაბარი,  
ღრმა.

VII. ს. მ. მკლავები ტანს უკან.  
თითები გადახლართული. თვლა  
1-2. უკუშეშლით, ცერებზე აწევით  
ჩასუნთქვა. 3-4. საწყისი მდგომარე-

ბო-2 კომპლექსი გათვალის-  
წინებულია მაისის, ივნისისა  
და ივლისის თვეებში შესა-  
რულობლად ცუდ ამინდებში,  
ნაწვიმარში.

ობაში დაბრუნება — ამოსუნთქვა.  
გამეორება 6-8-ჯერ ნელ ტემპში.

VIII. ს. მ. ფეხშლით დგომი  
მხრებზე განივად. თვლა 1. გარე-  
კალეებით ზემკლავი, თითების გა-  
დახლართვა. 2. წინწევი. 3. ზეშა-  
რითი, ზემკლავი. 4. გარეკალეებით  
მიშკლავი. გამეორება 4-6-ჯერ, სა-  
შუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

IX. ს. მ. დონიჭი, თითები მოშუ-  
კული. თვლა 1-2. მარჯვენის გა-  
დგმა განზე, გამკლავი, თითების  
ორჯერ მოხრა და გამართვა. 3. წინ-  
მკლავი, ტაში. 4. საწყისი მდგომარე-

ბო-2 კომპლექსი გათვალის-  
წინებულია მაისის, ივნისისა  
და ივლისის თვეებში შესა-  
რულობლად ცუდ ამინდებში,  
ნაწვიმარში.

### ჩამოიღი ტანვარჯიში დღის მეორე ნახევარში


I. ს. მ. ძირითადი დგომი. თვლა  
1-2-3-4. ოთხი ნაბიჯი ადგილზე,  
გამკლავის გადაცილებით ზემკლა-  
ვის ნელი შესრულება, თავი მა-  
ღლა — ჩასუნთქვა. 5-6-7-8. ოთხი  
ნაბიჯი ადგილზე, გარეკალეები, მი-  
მკლავის ნელი შესრულება, თავის  
დახრა — ამოსუნთქვა. გამეორება  
4-6-ჯერ, ნელ ტემპში. II. ს. მ. ფე-  
ხშლით დგომი მხრების სიგანეზე  
ღუნგამკლავი მკერდთან, თითები  
მოშუპული. თვლა 1. ზეტანის მარ-  
ცხნივ ბრუნება, გაკვრით გამკლავი  
თითების გაშლით. 2. საწყისი მდგო-

მარეობაში დაბრუნება. გამეორება  
6-8-ჯერ, თითოეულ მხარეს, საშუა-  
ლო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

III. ს. მ. დონიჭი. თვლა 1-2-3. სა-  
მი დრეკადი წინწევი. 4. საწყისი  
მდგომარეობაში დაბრუნება. 5-6-7.  
სამი დრეკადი უკუწევი. 8. საწყისი  
მდგომარეობაში დაბრუნება. გამე-  
ორება 4-6-ჯერ საშუალო ტემპში.  
სუნთქვა თანაბარი. IV. ს. მ. ძირი-  
თადი დგომი. 1-2 ორი ნაბიჯი ად-  
გილზე მკლავების თავისუფალი  
მოძრაობით. 3-4. ორი ნაბიჯი,  
წინმკლავი, ტემპში თითების მოხ-  
რა და გაშლა. 5-6. ორი ნაბიჯი,  
გამკლავი, ტემპში თითების მოხრა  
და გაშლა. 7-8. ორი ნაბიჯი, მი-  
მკლავი ხელების ბარძაყებზე მირ-  
ტყმით. გამეორება 6-8-ჯერ, საშუ-  
ალო ტემპში. სუნთქვა თანაბარი.

### ფიზკულტურით

I. ს. მ. ფეხშლით დგომი, მხრებ-  
ზე განივად დონიჭი, ნახევარწინ-  
წევი. თვლა 1-2-3-4. ზეტანის  
ტრიალი მარცხნივ. 5-6-7-8. იგივე  
მარჯვნივ. გამეორება 6-8-ჯერ თი-  
თოეულ მხარეს, სუნთქვა თანაბარი.  
II. ს. მ. ფეხშლით დგომი, მხრების  
სიგანეზე. თვლა 1. ხელის მტე-  
ნების „დაბერტყვით“ მარჯვენის ზე-  
მკლავი, მარცხენის უკუშეშლით. 2.  
მარცხენის ზემკლავი, მარჯვენის  
უკუშეშლით. გამეორება 6-8-ჯერ,  
სუნთქვა თანაბარი.



კომპლექსი შედგენილია საქართველოს  
ფიზკულტურის სამინისტროს გენერალ-  
ინსპექტორის მიხედვით — თანამშრომლის  
ბ. დოკუბაძის მიერ.



თბილისი. „ბურვესტიკის“ სტა-  
ლინი. 26 მაისი.  
„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომო-  
ტივი“ (მოსკოვი) — 4:0 (2:0).  
„ლოკომოტივი“ — მა'ლაჩენკო;  
სოროკინი, შელეხოვი, მაქსიმოვი;  
არტემიევი, მარუშკო; სიმეონა  
(სოკოლოვი), ვოროშოლოვი, გრე-  
ჩანკოვი, ბელიაჟოვი, სპირიდო-  
ნოვი.  
„დინამო“ — კოტრაქძე; ბ. სე-  
გინავა, თორაძე, ჩოხელი; გ. სიკი-  
ნავა, იამანიძე; მელაშვილი (დათუ-  
ნაშვილი), ბარჭია, კალაგოვი, ზეინ-  
სტილი, მესხი.  
მსაჯ. ბ. ბელოვი (ლენინგრადი).

გუშინდელ მატჩს უაღრესად  
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რო-  
გორც „ლოკომოტივის“, ისე „დი-  
ნამოსათვის“. პირველი წრე დასა-  
რულს უახლოვდება და ორივე  
გუნდს საკმაოდ საეჭვოდ აქვს  
საქმე სატურნირო ცხრილში. საქმე  
მხოლოდ იმაში არაა, რომ ქვეყნ-  
თში აუცილებლად საჭიროა ხუთე-

# განახლებული შეადგენლობით

ულში მოხვედრა ფინალურ ჯგუფ-  
ში გასასვლელად. თვითუღი და-  
კარგული ქულა საბედისწერაა ყო-  
ველი გუნდისათვის, ვინაიდან ისი-  
ნი გათამაშების საბოლოო ეტაპზე  
გადიან მთელი იმ „მარაგით“, რო-  
მელიც მათ მოიპოვეს წინასწარ  
თამაშებში.  
თბილისის „დინამოს“ ხელმძღვა-  
ნელობა გუნდი განახლებული შე-  
ადგენლობით გამოიყვანა მინდო-  
რზე. ეს პირველ ყოვლისა, შეეხება  
იამანიძის დაწვეას ერთი რგოლით  
უკან — ნახევარდაცვაში, ხოლო  
მარცხენა შუამარბის ადგილზე გა-  
დაყვანილ იქნა ზეინსტილი, ამ  
გადაადგილებამ ძირითადად გაამა-  
რტლა მიხანი, ვინაიდან იამანიძე  
გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვი-  
დრე წინა მატჩებში, ხოლო ზეინ-  
სტილის შეუძლია მოემსახუროს  
ერთელ ტერიტორიას და საჭიროე-  
ბის შემთხვევაში დაეხმაროს ნახე-  
ვარდაცვის ზონას იამანიძის შეტე-  
ვაში მონაწილეობის დროს.

სწორედ ასე თამაშობდნენ ისინი  
პირველ ტაიმში, როცა დინამოე-  
ლებს თითქმის არ გაუშვიათ ხელი-  
დან ინიციატივა. გუნდი, როგორც  
წესი, მარცხენა ფრთიდან უტე-  
და, სადაც სრული კონტაქტი იყო  
დამყარებული მესხსა და მის პარ-  
ტნიორებს შორის, მაგრამ მარჯვე-  
ნა ფლანგის ხვედრითი წონა ამ  
უპირატესობაში საკმაოდ მოკრძა-  
ლებული იყო, ვინაიდან ბარჭია  
აშკარად არაა შესული ფორმაში  
თავისი ხანგრძლივი „ანტრაქტის“  
შემდეგ, ხოლო მელაშვილი ჯერჯე-  
რობით ყველაზე სუსტად თამა-  
შობს თავდასხმაში. რამდენიმე სა-  
ხედათო შეტევა ლოკომოტიველებ-  
საც ჰქონდათ, სადაც ფორვარდები  
ცდილობდნენ საბოლოო დარტყმი-  
სათვის ვოროშოლოვი დაეტოვებო-  
ნო თავისუფალ პოზიციაში, მაგ-  
რამ მოსკოველთა ვეტერანი ამ  
დღეს გასაოცრად არაუხსტად ურ-  
ტყამდა კარში.  
დინამოელებმა ანგარიში გახსნეს  
მე-5 წუთზე. იამანიძემ და კალა-  
გოვმა გაითამაშეს ლაკონური,  
სწრაფი კომბინაცია და იამანიძემ  
ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში —  
1:0. მე-20 წუთზე დინამოელები  
კვლავ მარცხენა ფრთიდან უტე-  
დნენ მოწინააღმდეგეს, ბურთი მი-  
იღო იამანიძემ და ზედ კარის წინ

მიაწოდა კალაგოვს. თბილისელთა  
ცენტრალური თავდასხმელი „ლო-  
კომოტივის“ დაცვას სრულიად  
უუპრადლებოდ ჰყავდა დატოვებუ-  
ლი ამ მომენტში და გუნდს ეს  
შეცდომა მეორე გოლად დაუჯდა  
(კალაგოვმა თავით გაიტანა იგი).  
ამ ბურთის გაშვებაში ერთ-ერთი  
მთავარი დამნაშავეა მეკარე მასლა-  
ჩენკოც, მაგრამ ეს არ იყო მისი  
პირველი და უკანასკნელი შეცდო-  
მა. ნაკრების მეკარე ამ დღეს  
თამაშობდა ძალზე სუსტად და მხო-  
ლოდ არეულობა შეჰქონდა თავი-  
სი დაცვის რიგებში.  
მეორე ტაიმი მოსკოველებმა გა-  
ცილებით უკეთ ჩაატარეს, ვიდრე  
პირველი. მათ თავიდანვე მიაღწიეს  
უპირატესობას შუა მინდორზე და  
თამაში თანდათან გადაიტანეს მო-  
წინააღმდეგის კართან, მაგრამ „დ-  
ნამოს“ დაცვა ამ ძნელ პერიოდში  
კარგი თამაშისათვის დამსახურებუ-  
ლი კომპლიმენტის ღირსია, ვინაი-  
დან მან ბრძოლა აწარმოა ორგა-  
ნიზებულად, მოფრებულ ურთი-  
ერთობებში.  
თითქმის 30 წუთი გრძელდებო-  
და ლოკომოტიველთა იერიშები და  
დინამოელთა მიხანი თითქმის მხო-  
ლოდ ერთი იყო — ანგარიშის შე-  
ნარჩუნება. მაგრამ აქ სრული ძა-  
ლით ითამაშა მესხმა, რომლის აქ-

ტიური მონაწილეობით გატანილ იქ-  
ნა კიდევ ორი გოლი. მან საბოლოოდ  
გატეხა მოსკოველთა დაცვის წინა-  
აღმდეგობა თავისი ცალკეული  
რამდენიმე სახიფათო შეტეგით.  
შეჭმნა ბურთი კარს წინ მესხის მე-  
წორებაში. შემდეგ მესხი უფრო გა-  
ყვანა კალაგოვმა მეკარის პირის-  
პირ ზეინსტილი (3:0). ხოლო  
ორი წუთის შემდეგ მარცხენა გა-  
რემარბი თვითონ შევიდა საჭარო-  
მო მოედანზე და სოროკინთან  
და მასლაჩენკოსთან ბრძოლაში მე-  
ოთხე ბურთიც გაიტანა „ლოკომო-  
ტივის“ კარში — 4:0.

რ. ჰორიძე  
ამავე გუნდების დუბლშემად-  
გენლობათა შეხვედრა მოიგეს აგ-  
რეთვე თბილისელებმა — 3:0.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 27 მაისისათვის

I კვატრუზი

|                | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ.    | ქ. |
|----------------|----|----|----|----|-------|----|
| „ტორპედო“ მ.   | 8  | 7  | 0  | 1  | 14:5  | 11 |
| „ნეფტაჩიკი“ ბ. | 9  | 4  | 4  | 1  | 11:8  | 12 |
| „ავანგარდი“ ხ. | 8  | 4  | 3  | 1  | 9:6   | 11 |
| სკა როსტ.      | 9  | 4  | 1  | 4  | 17:10 | 9  |
| „დინამო“ თბ.   | 8  | 4  | 1  | 3  | 12:6  | 9  |
| „დმბრალტ“ ლ.   | 8  | 4  | 1  | 3  | 10:7  | 9  |
| „ლოკომოტი“ მ.  | 8  | 2  | 4  | 2  | 9:13  | 8  |
| „ტრუდი“ ვორ.   | 8  | 1  | 3  | 4  | 5:8   | 5  |
| „დაუგავა“ რ.   | 8  | 1  | 3  | 4  | 8:13  | 5  |
| „სპარტაკი“ ვ.  | 8  | 0  | 4  | 4  | 5:13  | 4  |
| „შახტიორი“ სტ. | 8  | 0  | 4  | 4  | 4:13  | 4  |


II კვატრუზი

|                | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ.    | ქ. |
|----------------|----|----|----|----|-------|----|
| „დინამო“ კ.    | 8  | 6  | 0  | 2  | 20:8  | 12 |
| ცსკა.          | 8  | 5  | 1  | 2  | 21:14 | 11 |
| „პახტაკორი“ ტ. | 8  | 4  | 2  | 2  | 15:15 | 10 |
| „სპარტაკი“ მ.  | 7  | 3  | 3  | 1  | 11:6  | 9  |
| „კაირატი“ ატა  | 8  | 3  | 3  | 2  | 9:12  | 9  |
| „დინამო“ მ.    | 8  | 3  | 2  | 3  | 10:11 | 8  |
| „ზენიტი“ ლ.    | 9  | 3  | 2  | 4  | 13:18 | 8  |
| „სპარტაკი“ ერ. | 8  | 1  | 5  | 2  | 13:15 | 7  |
| „მოლდოვა“ კიშ. | 8  | 2  | 2  | 4  | 15:16 | 6  |
| „ბელარუსი“ მფ. | 8  | 2  | 1  | 5  | 8:12  | 5  |
| „კალევი“ ტალ.  | 8  | 0  | 3  | 5  | 7:16  | 3  |

## მიუსაფარნი

ამას წინათ სსრკ სპორტულ სა-  
ზოგადოებათა და ორგანიზაციების  
კავშირის ცენტრალურმა საბჭომ  
მოიწიო სპეციალური დადგენილება:  
ამოღებულ იქნას ერთიანი საკე-  
შირო სპორტული კლასიფიკაცია-  
დან ტურნირები, ეს სწორედ არის.  
სპორტული თანრიგისა და წოდე-  
ბის მისაღებად არ უნდა ვმოგ-  
ზურობდეთ. ტურნირების არსი იმა-  
ში კი არაა, რომ გავიაროთ რამ-  
დენიმე კილომეტრი, როგორც ამას  
ფილიდნენ ზოგიერთები, რომლე-  
ბიც გატაცებულნი იყვნენ ათობითა  
და ასობით კილომეტრის გავლით.  
ტურისტისათვის ყველაზე პიმ-  
სიდელო ზომი ის არის, რომ შეაგ-  
როვოს შეცნიერებისათვის, სა-  
საზო მეტურნეობისათვის საჭირო  
ასალი ცნობები, გაიდრამგოს თა-  
ვისი ცოდნა ამა თუ იმ დარგში.  
ამასთან ზემოხსენებული დად-  
გენილება უკრძალავს ფიზიკულ-  
ტურულ და პროფესიულ ორ-  
განიზაციებს ჩაატარონ მრავალ-  
დღიანი ტურისტული გადასვლები,  
მოკლე ლაშქრობები ხომ ყო-  
ველი ნამდვილი ტურისტის ოც-  
ნებაა! ეს ხომ მოითხოვს ყველა  
ფიზიკური და მორალური თე-  
რებების მოზრუნვებას, ცოდ-  
ნას? ომსკელმა ტურისტებმა  
საკეპრო გეოგრაფიული სა-  
ზოგადოებას ომსკის განყოფილე-  
ბის დახმარებით შეისწავლეს ომის  
ხრდილოეთი და შეაგროვეს ძალზე  
ინტერესო მასალები. ირკუტს-  
კელმა ლაშქრობის დროს აღმოა-  
ჩინეს 572 სასარგებლო წიაღისეუ-  
ლი, რომელთა შორის 63 სამარყ-  
ველი მნიშვნელობისაა.  
წავარტყათ ტურისტებს დიდი  
და რთული გადასვლების უფლება,  
ეს ნიშნავს მოვსპოთ დიდი ტუ-

რიზმი. მოგზაურობას ვერ აკრძა-  
ლავ, ეს შეუძლებელია! დაღება  
ზაფხული და ხალხი მაინც წავა-  
დად ლაშქრობებში, მას ვერ შეა-  
ფერებებს ვერავითარი დადგენილე-  
ბა. თუ კი წინათ მარშრუტებს ვინ-  
მე უწყევდა კონტროლს, ახლა ასე  
არ იქნება, რა შეიცვალა? მხოლოდ  
ის, რომ თუ კი გამოუცდელობის  
შედეგად მოხდება რაიმე უბედურა  
შემთხვევა, ამაზე პასუხს ალარავნ  
აგებს. თუმცა ტურნირის ორგანი-  
ზატორებად და ხელმძღვანელებად  
ისევე ითვლებიან სსრკ სპორტულ  
საზოგადოებათა და ორგანიზაციე-  
ბის კავშირის ცენტრალური საბ-  
ჭო, პროფკავშირების ცენტრალ-  
ური ტურისტულ-საექსკურსიო სამ-  
მართველო, პროფკავშირების სპო-  
რტულ საზოგადოებათა ცენტრა-  
ლური საბჭო.  
ტურნირს უნდა ყავდეს ერთი  
ხელმძღვანელი, ერთიანი ორგანი-  
ზაცია თავისი სასრებოთა და შტა-  
ტით, რომელიც თავიდან ბოლომ-  
დე დაკავებულ იქნება მოგზაუ-  
რობის ყველა სახეობითა და  
ფორმებით. ჩვენ ვამბობთ, რომ  
ყოველი ტურისტი, ფოტოგრაფი,  
კოლექციონერი, მეკლავარი უნდა  
დაუკავშირდეს საკეპრო გეოგრა-  
ფიულ საზოგადოების ადგილობრივ  
განყოფილებებს, მიიღოს მასგან  
დავალება და შეასრულოს იგი.  
თუმცა ამჟამად სამეცნიერო დაწე-  
სებულებიდან რაიმე დავალება რომ  
მიიღო, საჭიროა მოამზადო წერილე-  
ბის, თხოვნების გროვა, აწარმოო  
ხანგრძლივი მოლაპარაკება. ამის გა-  
მო ჩვენ გამოვიდგართ გაუბედავ  
მთხოვნელთა როლში. სამეცნიე-  
რო დაწესებულებებთან კავშირიც  
უნდა იყოს დაკანონებული და  
ცენტრალიზებული.  
„ნაფილია“ № 20.




## სტენდგე — უკლიერენი

21 ოსტატმა და 14 პირველთან-  
რიგოსანმა მოიყარა თავი საქარ-  
თვლო უძლიერეს მესტენდურთა  
შეჯიბრებაში, რომელიც გუშინ  
დიწყო თბილისის „მონაკეპროს“  
სტენდზე. აქ არიან რესპუბლიკის  
თითქმის ყველა საუკეთესო მსრო-  
ლელები — ძველი და ახალი თაო-  
ბის წარმომადგენლები, ნაწრთობნი  
ბათუმში მოიწყო ველოსიპედის-  
ტა რკალური რბოლა კომპაგ-  
შირის საქალაქო კომიტეტის ჩილ-  
დოზე. ვაჟთა შორის პირველი ად-  
გილი მოიპოვა ქობულეთელმა ი.  
მაგუსეშვილმა. ქალთა შორის უძლიე-  
რესი იყო ბათუმელი ნ. ბისტრიაკი.  
სურათზე: ველოსიპედისტები  
დისტანციაზე.

და ახალბედა სპორტსმენები. აშკა-  
რად იგრძნობოდა მხოლოდ ბ. ან-  
ტონოვის არყოფნა, რომელიც სწო-  
რედ, შეჯიბრების გახსნის დღეს  
ოსლოს გაემგზავრა მსოფლიო ჩემ-  
პიონატში მონაწილეობისათვის.  
შეჯიბრების პირველი დღე დაე-  
თმო ადგილიდან 100 გასრო-  
ლას თვითუღ სპორტსმენზე.  
3400 აფრენილ სპიზნზე სროლა  
6 საათს გაგრძელდა და მხოლოდ  
ამის შემდეგ, გახდა შესაძლებელი  
იმის დადგენა, თუ ვის აქვს გამარ-  
ჯვების მეტი შანსი, ანუ სხვაგვა-  
რად რომ ვთქვათ, გამოირკვენ  
ლიდერები და ლუტსაიდერები.  
პირველი სერიის შემდეგ შეჯიბ-  
რების სათავეში მოექცნენ მ. კუ-  
როჩკინი და ა. ოვსეპიანი, რომლებ-  
მაც ყველა 25 სპიზნზე გამოიყვანეს  
მწკრივიდან. თითო სამიზნემ „და-  
აღწია“ თავი ა. ხახანაშვილის, ტ.  
კობერძის, დ. ცაგარეიშვილის, ბ.  
სეგალევიჩისა და ლ. სიმონიანის  
თოფს, ხოლო ოთხმა — ნ. მაჩხა-  
ნელმა, ი. საგანელიძემ, კ. კლდია-  
შვილმა და ვ. კიკელიძემ 2-2 სამი-  
ზნეს ესროლეს ამაოდ.  
შემდგომმა სერიებმა, როგორც  
ეს ხშირად ხდება, რამდენჯერმე  
შეცვალეს ლიდერი და 100 გასრო-  
ლის შემდეგ ამ ადგილზე საბო-  
ლოდ დამკვიდრდნენ ტ. კობერძი  
და ა. ოვსეპიანი — თვითუღმა 95  
ქულა მოაგროვა. ნ. მაჩხანელ-  
მა, რომელსაც ყველაზე კარგი  
შედეგი — 72 ქულა ჰქონდა, 75  
გასროლის შემდეგ უკანასკნელ სე-  
რიაში დაკარგა იმდენივე ქულა (3),  
რაც წინა სამ სერიაში და 94 ქუ-  
ლით ბ. სეგალევიჩთან ერთად  
იყოფს III-IV ადგილებს და გამარ-

ჯეების დიდ შანსებს ინარჩუნებს.  
თუმცა ბსიც უნდა ითქვას, რომ  
ამის შესაძლებლობა სხვა ყველა  
ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა აქვთ  
აგრეთვე რ. ჩოგოვაძეს, ა. ხახანა-  
შვილსა და მ. კუროჩკინსაც, რომ-  
ლებიც ლიდერებს ერთი-ორი ქუ-  
ლით ჩამორჩებიან.  
მართალია, შეჯიბრების პირველ  
დღეს არ ყოფილა საერთაშორისო  
კლასის შედეგი, მაგრამ ოსტატის  
ოთხი მაჩვენებელი და სხვა რამდე-  
ნიმე კარგი შედეგი მეტყველე-  
ბენ, რომ საქართველოს მესტენდუ-  
რეებს კარგი სტარტი აქვთ.  
შეჯიბრება გრძელდება...  
ო. ივლიშვილი  
სურათზე: ნ. მაჩხანელი.  
ლ ე ლ ი  
მე-3 გვ. № 67 (1708)





# საქართველო

მე-20 საუკუნის დამდეგს საქართველოში ფიზიკური კულტურა და სპორტის სფეროში უმეტესად ვითარდებოდა. მდგომარეობა არც მენშევიკების ბატონობის შემდეგ შეცვალა.

საზოგადოება „შეფარდენა“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძობდა თავის არსებობას (1922 წლის ოქტომბრამდე). ამ ხნის განმავლობაში აშკარა გახდა, რომ ხმელეთზე საზოგადოებას არ შეეძლო მუშაობის გარდაქმნა პარლემენტული სახელმწიფოსათვის საჭირო მიმართულებით.

ამ ხანებში საქართველოში შემოვიწყო იყო აგრეთვე რუსული ბურჟუაზიული სატანკარჯიშო საზოგადოება „სოკოლი“ და რეაქციულად განწყობილ ბავშვთა და ქაბუთა ორგანიზაცია „სკაუტები“. 1922 წლის 23 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილება მთელს საქართველოში „შეფარდენის“, „სოკოლის“ და „სკაუტის“ ორგანიზაციათა დაშლის და მათ

ნაცვლად სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ დაარსების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ „შეფარდენას“ ლიკვიდაციის შემდეგ ამ საზოგადოებაში მომუშავე მწვრთნელთა დიდმა უმრავლესობამ მტკიცე სურვილი განაცხადა განეგრძო ფიზკულტურის ფრონტზე მუშაობა და თავისი ენერგიული და კეთილსინდისიერი მოღვაწეობით ღიად შეუწყო ხელი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებას.

ამ პერიოდში ქუთაისის საზოგადოება „შეფარდენა“ გმუშაობდა. 1923 წლის იანვარს ქუთაისის კომკავშირის სამხარო კომიტეტმა „შეფარდენის“ ყოფილ მწვრთნელთა კრება მოწვია. კრებაზე უნდა გამორკვეულიყო ჩვენი პოზიცია — ვიმუშავებდით თუ არა ახალ სპორტულ საზოგადოება „სპარტაკში“. კრება დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან „შეფარდენის“ ყოფილმა მუშაკებმა გამოთქვეთ სურვილი გვემუშავა ახალ სპორტულ საზოგადოებაში.

საჭირო იყო ფიზკულტურის ინსტრუქტორთა ახალი კადრები. ჩვენ კომკავშირის სამხარო კომიტეტის ხელმძღვანელობით იმთავითვე შევედგეთ კომკავშირელებსავე ინსტრუქტორების მომზადებას. მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და შედარებით მოკლე ვადაში საზოგადოება „სპარტაკს“ ჰყავდა მწვრთნელთა საჭირო კადრები.

ამავე დროს ჩამოყალიბდა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია, დაყოფილი ცალკეულ რაზმებად (კოლექტივებად). ხსენებულ ორგანიზაციაში თავიდანვე დიდი უზრაღდება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას. დაისვა საკითხი პიონერთა კოლექტივების ხელმძღვანელთა მომზადების შესახებ ფიზიკური აღზრდის დარგში. ეს საქმე მე მომენდო, როგორც ხსენებული ორგანიზაციის მთავარ ინსტრუქტორს. მასსოვს, დიდი ენერგიით და ხალისით შევედგეთ მუშაობას. კომკავშირის სამხარო კომიტეტი დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას გვიწევდა. მოკლე ხნის განმავლობაში ქუთაისის პიონერთა ორგანიზაციასაც ჰყავდა ფიზიკური აღზრდის დარგში კარგად მომზადებული ხელმძღვანელები კადრები.

1924 წ. დამდეგს ქუთაისში ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურის საბჭო, რომელსაც ევალებოდა მოსახლეობის ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვა და ამ დარგში მუშაობის ხელმძღვანელობა. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ ძველი კომუნისტი ილია მაჭავარიანი, კ. (ბ) სამხარო კომიტეტის წარმომადგენელი ამბერკი კვეკელი, კომკავშირის წარმომადგენელი შალვა ტაბიძე, მიხეილ გორგაძე და სხვ. დებულების თანახმად საბჭოსთან დაარსდა ტექნიკური კომიტეტი, რომლის კომპეტენციას შეადგენდა სპორტში მეცადინეობისადმი ხელმძღვანელობა, პროგრამების და მეცადინეობისათვის საჭირო მასალების დამუშავება, სპორტული შეჯიბრებისა და გამოსვლების ხელმძღვანელობა და ა. შ.

1924 წელსვე ჩამოყალიბდა ფიზკულტურის პირველი წრეები, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფიზკულტურის საბჭოსთან არსებული წრე იყო. ასეთივე წრეები დაარსდა ქალაქის მუშათა კლუბთან, რკინიგზელთა კლუბთან და ზოგიერთ პროფკავშირებთან.

1923 და 1929 წლებში გაიმართა საქალაქთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში თბილისის ლენინის რაიონის კომკავშირელთა გუნდთან, აგრეთვე სამტრედიისა და ფოთის გუნდებთან. 1924 წელს ქუთაისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე. 1924 წელსვე გაიმართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში ქუთაისისა და ქუთაისის გუნდებს შორის.

ჯერ კიდევ 1923 წლის ზაფხულში ქუთაისის განათლების განყოფილების ხაზით ჩატარდა დასავლეთ საქართველოს სკოლების მასწავლებელთა თენახევიანი კურსები, რომელიც 55 კაცმა დაამთავრა. 1924 წ. ჩატარდა ქუთაისის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა ე. წ. „სამზადისი“. ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწვეს ფიზიკური აღზრდის ფიზკულტურის წრეებში. მაგრამ ჯერ კიდევ მეტად მცირე იყო ფიზკულტურაში ჩაბმულთა რიცხვი, არ კმაროდა მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა კვალიფიკური კადრები, ცოტა იყო აგრეთვე ფიზკულტურული ნაგებობანი — ქუთაისში სულ სამი ტანვარჯიშის დარბაზი და ორი მოუწყობელი, უბრალო მოედანი მოიპოვებოდა.

ათეულმა წლებმა განვლო მას შემდეგ და ახლა — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების



თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე ძაღოსნობაში წარმატება ხვდა წილად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს, ქვემოთ წონის ძაღოსანს გ. მიმინოშვილს, რომე-

ლმაც სამედიცინო ჯამში დააგროვა 295 კგ და მოიპოვა პირველი ადგილი.

სურათში: გ. მიმინოშვილი სპორტის სტუდენტს, ქვემოთ წონის ძაღოსანს გ. მიმინოშვილს, რომე-

ფოტო ი. იუნავეისა.

დამყარების 40 წლისთავე — ქუთაისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს საგრძნობი მიღწევები აქვთ მოპოვებული. თუ საბჭოთა ფიზკულტურის ჩასახვის ეპოს ქუთაისში მოიპოვებოდა რამოდენიმე ფიზკულტურის წრე, რომელშიც 300-მდე ფიზკულტურელი ირიცხებოდა, დღეს ქალაქში 183 ფიზკულტურის კოლექტივია 39311 ფიზკულტურელი. ამაღლდა ქუთაისის სპორტსმენთა ოსტატობაც. ქალაქში 68 სპორტის ოსტატი, 609 — პირველი თანრიგისა და 1688 — მეორე თანრიგის მქონე სპორტსმენია. გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა რიცხვი.

ქუთაისელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. სულ ახლახან დაამთავრებულ საიუბილეო სპარტაკიადში პედაგოგიკური ტყვიით მსარგებლობაში არავის დაუთმეს პირველი ადგილი, ტანვარჯიშეებმა — მესამე, თავისუფალ ჭიდაობაში ავტოქარხნის გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი და სხვ.

გ. გიორგაძე, დოცენტი.

## უზბეკეთის ქრონიკა

მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში შედგა უკანასკნელი მატჩი ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, ერთმანეთს შეხვედნენ მექსიკისა და ნიდერლანდების ვესტ-ინდოეთის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამ ერთი ქულის წყალობით მექსიკელები ქვეყნებში გაიღწნენ პირველ ადგილზე და ფინალში გასვლის უფლებისათვის უნდა შეხვედნენ პარაგვაის გუნდს.

\*\*\*

გრძელდება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება. ფრედ — 2:2 ითამაშეს ბრაზილიის „პალმეირასმა“ და კოლუმბიის „ინდეპენდენტმა“ (მატჩი შედგა კოლუმბიის დედაქალაქში). ამავე გათამაშებაში ურუგვაის „პენიაროლმა“ დამარცხება განიცადა „უნივერსიტარიოსთან“ (პერუ).

რედაქტორი ი. უგუზაშვი.

## 40 წლის განმავლობაში

მისი გვარი არ იყო აღნიშნული ამერიკის ოლიმპიური გუნდის ქოკით მსტომელთა სიაში. არც არავინ ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა ჯორჯ დევისი მძლეოსნობის ამ სახეობის კორაფეების კ. უორმერდამის, ბ. გუტოვსკის, დ. ბრეგის ღირსეული მემკვიდრე იქნებოდა. ამის საფუძველი იყო კიდევ. ჯ. დევისი გასული წლის შედეგების მიხედვით არ იყო 50 უძლიერეს ქოკით მსტომელთა სიაში. მას მხოლოდ რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მიაქციეს უზრაღდება სპეციალისტებმა, როცა მან ოკლაჰომა-სტიტის უნივერსიტეტის, სადაც იგი სწავლობს, შეჯიბრებაზე დაძლია 4,59 მეტრი სიმაღლე. სულ მალე ჯ. დევისმა აჩვენა 4,67 მ; შემდეგ „გაიძვირა“ მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენის კ. უორმერდამის სარეკორდო შედეგი — 4,77 მ, რომელიც 15 წლის განმავლობაში ხელუხლებელი იყო, მანამ გუტოვსკამ მას 1 სანტიმეტრი არ წაუშატა.

ქ. ბოულდერის (კოლორადოს შტატი) სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი ახალი მსოფლიო რეკორდის დაბადების მოწმე გახდა. ამერიკის შეერთებული შტატების 5 უდიდესი უნივერსიტეტის პირველობაზე ჯ. დევისი ჯერ გადაჭრა 4,89 მეტრზე, შემდეგ მოითხოვა თამაში აეწყობა 4,83 მეტრამდე. 2 ცდას შემდეგ არ მოუტია. მესამე ცდაზე სპორტსმენი რაკეტასავით აიჭრა ჰაერში, გადაევლო სიმაღლეს, მაგრამ მეგრდით ოდნავ შეეხო თამაშს და ძირს დაეშვა. იგი ქვემოდან გულის ფანცქალით შესცქეროდა თუ როგორ ქანაობდა თამაშს სარეკორდო სიმაღლეზე.

ახე დაიბადა — ხალი მსოფლიო რეკორდი. 49 წლის წინათ ამერიკელ მ. რაიტის პირველად გადაღებულ 4-მეტრიან ზღვარს (მაშინ მ. რაიტმა აჩვენა 4,02 სმ), ჯ. დევისმა 51 სანტიმეტრი დაუშატა და 5 მეტრისათვის მეგრძოლ ქოკით მსტომელებს ჩაუდგა სათავეში.

## ა. ჰარიმ ლატოვა

### სარგენი ბილიკი

უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, იტალიელმა ლ. ბერტომ ქ. კარში გამართულ შეჯიბრებაზე თავის ძირითად სახეობაში — 200 მეტრზე რბენაში აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 21,0 წამი, ხოლო პალეში 100 მეტრი გაიარა 10,3 წამში. ასეთივე შედეგი აჩვენა უნგრელმა ა. ჩუტორაშმა ბუდაპეშტის შეჯიბრებაზე.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ევროპელ მძლეოსნებს ბირთვის კვარში. პოლონელმა სოსტურნიკმა, უნგრელმა ვარნომ და იტალიელმა მენონმა გადალახეს 18-მეტრიანი ზღვარი. მათ შესაბამისად აჩვენეს 18 მ 14 სმ, 18 მ 36 სმ და 18 მ 17 სმ.

პეკინში 19 წლის ნი ჩე-ცინმა დაძლია 207 სმ სიმაღლე და ახლა

აგი მესამე სპორტსმენია ჩინეთში, რომელმაც გადალახა 2-მეტრიანი ზღვარი.

პოლონეთის პირველობის პირველ ტურში გ. ბარინმა 1.500 მეტრზე რბენაში აჩვენა სეზონის საუკეთესო შედეგი ევროპაში — 3.42,7. კარგა ხნის შესვენების შემდეგ პირველად გამოვიდა სტარტზე ოლიმპიური ჩემპიონი ი. შმიდტი, რომელმაც 100 მეტრი გაიარა 10,5 წამში და სამეტრში აჩვენა 15 მ 56 სმ.

როგორც ბონის რადიომ გადასცა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა 100 მეტრზე რბენაში გერმანელმა ა. პარმ სამუდამოდ დატოვა მძლეოსნობის ბილიკი.



31 მაისი. 1 ივნისი  
საერთაშორისო უმხმელარ  
ტანვარჯიშო

უნგრეთი —  
საქართველო

დასაწყისი 19 საათზე.